



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**ბრძანება**



MES 4 20 00450455



09/06/2020

N58/2-02

2020 წლის 09 მარტი, ქ. თბილისი

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დამტკიცებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის N05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID -19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად;
2. საორგანიზაციო სამსახურს დაევალოს წინამდებარე ბრძანებისა და დანართის გაცნობა უნივერსიტეტის ყველა სამსახურის ხელმძღვანელისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის;

3. უნივერსიტეტის ყველა სამსახურის ხელმძღვანელს დაევალოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში გაწერილი მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გაცნობა მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისთვის ინსტრუქციის სახით;
4. უნივერსიტეტის ექიმს ნინო წიკლაურს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, მათ შორის, დაცვის სამსახურთან ერთად კითხვარის წარმოება მიმდინარე სასწავლო სემესტრის სასწავლო პრაქტიკულ და საგამოცდო პერიოდში (2020 წლის 11 ივნისიდან შემოქმედებითი ტურების დასრულებამდე) უნივერსიტეტის I კორპუსში;
5. უნივერსიტეტის ექთანს ნათია შარვაძეს დაევალოს წინამდებარე ბრძანების შესრულების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, დაცვის სამსახურთან ერთად კითხვარის წარმოება მიმდინარე სასწავლო სემესტრის სასწავლო პრაქტიკულ და საგამოცდო პერიოდში (2020 წლის 11 ივნისიდან შემოქმედებითი ტურების დასრულებამდე) უნივერსიტეტის II კორპუსში;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

